

შპს „ლაქი გეიმი“

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წელი

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
მმართველობის ანგარიშგება	8
2018 წლის ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის	9
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად უნდა ასახავდეს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებას **მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად**; ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს **თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას**.

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

დირექტორი **ლევან ლაგვილავა**

- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებულ და გონივრულ გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით



ლევან ლავგილავა

ნუგზარ ჯაჯანიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლაქი გეიმი“-ს ხელმძღვანელობას

2019 წლის 25 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე ჩავატარეთ შპს „ლაქი გეიმი“-ს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 31 დეკემბრამდე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი, რომელიც შედგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან და მმართველობითი ანგარიშგებისაგან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას და გონივრული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ლაქი გეიმი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

დასკვნის შედგენის საფუძვლები

აუდიტი ჩატარებული იქნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად, ამ სტანდარტებით აუდიტორის პასუხისმგებლობა აღწერილია მოცემული ანგარიშის თავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა“. „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ თანახმად, მე-აუდიტორი დამოუკიდებელი ვარ სუბიექტისაგან, მკაცრად ვიცავ აღნიშნული კოდექსის სხვა ეთიკურ ნორმებსაც და მიმაჩნია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში

მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს დასკვნისთვის საკმარის საფუძვლებს. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ როგორც ფინანსური ანგარიშგების, ასევე, მმართველობითი ანგარიშგების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად სრულად იქნა გაანალიზებული და გათვალისწინებული საქართველოს კანონის - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ - მოთხოვნები; გვჯერა რომ, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას დაა შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს, უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ლაქი გეიმი“-ს ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია მსს ფასს-ების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

შპს „ლაქი გეიმი“-ს მმართველობითი ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონის - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ - მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

შპს „აუდიტ აისი“-ს

სერტიფიცირებული აუდიტორი:

/დანიელ ჭილაძე/

სერტიფიკატი №N5/534

თბილისი, გვაზაურის ქუჩა, კ.4; ბ-ნა 33

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

შპს „ლაქი გეიმი“-ს მმართველობითი ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონის - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდტის შესახებ“ - მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

შპს „აუდიტ აისი“-ს

სერტიფიცირებული აუდიტორი:

სერტიფიკატი №N5/534

თბილისი, გვაზაურის ქუჩა, კ.4; ბ-ნა 38

27.09.2019წ.



/დანიელ ჭილაძე/

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა

და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ლარში

	<u>2018</u>	<u>2017</u>
საოპერაციო საქმიანობიდან ამონაგები შენიშვნები	44846330	45121526
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯი	570088	625833
საგადასახადო ხარჯები	2730290	2959815
კომუნ. და საკომუნიკაციო ხარჯი	299666	235921
იჯარის ხარჯი	452256	361991
ცვეთა და ამორტიზაცია	231518	179589
 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო		
ხარჯები	40252489	39538017
საოპერაციო მოგება	310023	1220360
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	2878596	2529536
დივიდენდები	915480	871300
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	2273139	2878596

დირექტორი ლევან ლაგვილავა

ფინანსისტი ნუგზარი ჯაჯანიძე

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა

და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ლარში

	<u>2018</u>	<u>2017</u>
საოპერაციო საქმიანობიდან ამონაგები შენიშვნები	44846330	45121526
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯი	570088	625833
საგადასახადო ხარჯები	2730290	2959815
კომუნ. და საკომუნიკაციო ხარჯი	299666	235921
იჯარის ხარჯი	452256	361991
ცვეთა და ამორტიზაცია	231518	179589
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	40252489	39538017
საოპერაციო მოგება	310023	1220360
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	2878596	2529536
დივიდენდები	915480	871300
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	2273139	2878596

დირექტორი

ფინანსისტი



ლევან ლაგვილავა

ნუზარი ჯაჯანიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისათვის

შენიშვნები	2018	<u>2017</u>
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	530716	1057376
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1062285	1217465
სასაქონლო-მატერიალური		
ფასეულობები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	926071	705948
სულ აქტივები	2519072	2980909
კაპიტალი და ვალდებულებები		
საწარმოს (საწესდებო კაპიტალი)		
გაუნაწილებელი მოგება	2273139	2889889
სულ საკუთარი კაპიტალი	2273139	2878596
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		

მიმდინარე ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება	245938	102313
-------------------------	--------	--------

საგადასახადი დავალიანებები

სულ მიმდინარე ვალდებულებები

სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2519072	2980909
-------------------------------	---------	---------

დირექტორი:	ლევან ლავგილავა
------------	-----------------

ფინანსისტი:	ნუგზარ ჯაჯანიძე
-------------	-----------------

მიმდინარე ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება

245938

102313

საგადასახადი დავალიანებები

სულ მიმდინარე ვალდებულებები

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

2519072

2980909

დირექტორი:

ფინანსისტი:

ლევან ლავგილავა
ნეფეზარ ჯაჯანიძე



2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი

ნაკადების ანგარიშგება

ლარებში

	შენიშვნები	2018	<u>2017</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო			
საქმიანობიდან		(526780)	573358
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო			
საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური			
საქმიანობიდან			
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის			
ეკვივალენტებზე			
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის			
ეკვივალენტებში		(526780)	573358
ფული და ფულის ეკვივალენტები			
წლის დასაწყისში		1057496	484138
ფული და ფულის ეკვივალენტები			
წლის ბოლოს		530716	1057496

დირექტორი: **ლევან ლაგვილავა**

ფინანსისტი: **ნუგზარ ჯაჯანიძე**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი

ნაკადების ანგარიშგება

ლარებში

შენიშვნები	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(526780)	573358
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(526780)	573358
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1057496	484138
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	530716	1057496



დირექტორი:

ფინანსისტი:

ლევან ლაგვილავა

ნუგზარ ჯაჯანიძე

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	სააქციო/ გადაფასების საწესდებო რეზერვები კაპიტალი	გაუნაწ. მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ საკუთ. კაპი- ტალი
ნაშთი 31.12.2016 წ.	0		2529536
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების მიღების ეფექტი	0		0
გამოვლენილი შეცდომის შესწორების ეფექტი	0		0
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშო			
პერიოდის ბოლოს თარიღისთვის	0		2529536
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი 2017 წ.		1220360	3749896
მთლიანი შემოსავალი ან ზარალი		1220360	3749896
კაპიტალის გაზრდა			
წილობრივი გადახდის საფუძველზე			0
გაზრდილი კაპიტალი			0
წილობრივი გადახდა			0
ძირ.საშ. გადაფასების რეზერვის რეალიზება			0
დივიდენდის გამოცხადება			-871300
სხვა			0

ნაშთი პერიოდის ბოლოს	თარიღისთვის	2878596
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი 2018 წ.	310023	3188619
მთლიანი შემოსავალი ან ზარალი	310023	3188619
კაპიტალის გაზრდა		
წილობრივი გადახდის საფუძველზე		0
გაზრდილი კაპიტალი		0
წილობრივი გადახდა		0
ძირ.საშ. გადაფასების რეზერვის რეალიზება		0
დივიდენდის გამოცხადება		-915480
სხვა		
ნაშთი პერიოდის ბოლოს	თარიღისთვის	2273139
დირექტორი:	ლევან ლაგვილავა	
ფინანსისტი:	ნუგზარ ჯაჯანიძე	

საანგარიშო პერიოდის მოგება ან
ზარალი 2018 წ.

310023

3188619

მთლიანი შემოსავალი ან ზარალი

310023

3188619

კაპიტალის გაზრდა

წილობრივი გადახდის საფუძველზე

0

გაზრდილი კაპიტალი

0

წილობრივი გადახდა

0

ძირ.საშ. გადაფასების რეზერვის რეალიზება

0

დივიდენდის გამოცხადება

-915480

სხვა

ნაშთი პერიოდის ბოლოს თარიღისთვის

2273139



ლევან ლაგვილაძე

ნუგზარ ჯაჯანიძე

შპს “ლაქი გეიმ”

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

სამიანობის მიმოხილვა

თბილისი

1918 წელი

შპს “ლაქი გეიმ”

ს/ნ: 204572934

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2009 წლის 17 სექტემბერს.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, მარჯანიშვილის ქ. 6, მე-4 სართული.

ფაქტობრივი მისამართი: თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგური ნულოვანი სართული.

დირექტორი: ლევან ლაგვილავა

მინდიბილი პირი: ნუგზარ ჯაჯანიძე

ტელ: (+995) 599 27 40 52

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, საქმიანობის განვითარება შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა,
2. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
3. სოციალური და დასაქმების საკითხები.
4. ადამიანის უფლებების დაცვა
5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქმიანობის ანგარიში

საზოგადოების მართვა

საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საერთო კრება ხელმძღვანელობს საქარფთველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. პარტნიორთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებიდან. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების განაწილებაზე მოგების არარსებობის შემთხვევაში. დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები-დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნულად, აღმასრულებელი ორგანოს, უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით 2018 წლის 31 იანვრიდან საზოგადოების დირექტორათ არჩეული იქნა **ლევან ლაგვილავა(პ.ნ. 01012010070)**

მართვის სტრუქტურა

საწარმოს შინაგანაწესი შემუშავებულია და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება .განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობის და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობების მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლებამოვალეობები, რომელის თვითეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ლაქი გეიმ“-ის საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

ელექტრონული თამაშობების მოწყობა (სათამაშოაპარატების სალონი)

ტოტალიზატორი

2018 წლის შემოსავალი სახეობების მიხედვით შეადგენს:

ელექტრონული თამაშობების მოწყობა(სათამაშოაპარატების სალონი)-87.3%

ტოტალიზატორი-12.1%

სხვა საოპერაციო შემოსავლები-0.6%

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

შემოსავლების ზრდა

მომხმარებლის მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება.

არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია ნორმებისა და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაიტალური შეკეთება;

განვითარების რესურსები:

საკმარისი ფინანსური რესურსები;

კვალიფიციური სამუშაო გუნდი;

სათანადო გამოცდილება სექტორში;

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საზოგადოება, მომსახურების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, სისტემატიურად ახორციელებს ინვესტიციებს სათამაშო აპარატებისა და ინვენტარის შესაძენად. ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე ხარისხიანი მოწყობილობები, რის გამოც სისტემატიურად ხდება სათამაშო აპარატების განახლება.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო პერიოდში გატარებული ღონისძიებები, კერძოდ 24 ცალი მოძველებული სათამაშო აპარატები ჩანაცვლებული იქნა იგივე რაოდენობის ახალი ულტრათანამედროვე აპარატებით.

მიმდინარეობს ოფისის აღჭრვილობის განახლება, რეგულარულდ ტარდება დარბაზში სარემონტო სამუშაოები, რათა მეტი კომფორტი შეექმნათ კლიენტებს.

სოციალური და დასაქმების საკითხები.

შესასრულებული პროექტებისა და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

უახლოეს მომავალში ვაპირებთ თანამშრომელთა კორპორაციულ დაზღვევას, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის მოტივაციის ზრდას რათა ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა.

შპს “ლაქი გეიმ“-ი აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობით ასევე ითვალისწინებს ამ დროისათვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კოვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს თანამშრომელთათვის ყოველთვიური ხელფასის სისტემატიურ ანაზღაურებას თვეში ორ ნაწილად.

ადამიანის უფლებების დაცვა

შპს “ლაქი გეიმ“-ი იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოს საერთაშორისო გამოცდილებას და რეფორმებს. საზოგადოების სამუშაო ტერიტორიაზე განლაგებულია მუდმივად მოქმედი სამეთვალყურეო კამერები, რომელთა მეშვეობითაც 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს მონაცემების ჩაწერა და კანონით დაგეგნილი ვადით შენახვა

შპს “ლაქი გეიმ“-ი მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლისა და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მთლიანმა შემოსავლებმა შეადგინა 44846864 ლარი, მათ შორის:

სათამაშო აპარატების სალონიდან მიღებულმა შემოსავალმა - 39154172 ლარი (87,3%), ტოტალიზატორიდან - 2930164 ლარი (6,5%), ოქროს გოლიდან - 1727867 ლარი (3,9%), ლაივიდან 744712 ლარი (1,7%), სხვა შემოსავლებმა 289946 ლარი (0,6%).

კომპანიაში დასაქმებულთა წლიურმა საშუალო რიცხოვნებამ შეადგინა 66 მუშაკი. აქედან 54 არის ქალი. საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 719,70 ლარი.

2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით, კლებამ შეადგინა 274401 ლარი, რაც (გასული წლის შემოსავალი - 45121265 ლარი) ძირითადად განპირობებულია ბაზარზე არსებული მკაცრი კონკურენციით, რაც გამოიხატება საანგარიშო პერიოდში, კომპანიის სიახლოვეს კონკურენტუნარიანი ობიექტების მომრავლებით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სათამაშო აპარატების მომხმარებელი ძირითადად უპირატესობას ანიჭებს უფრო თანამედროვე სათამაშო აპარატებზე თამაშს, რაც წარმოქმნის სალონში განთავსებული აპარატების მუდმივად განახლების აუცილებლობას. ჩვენ შემთხვევაში კი საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა შედარებით მოძველებული, აპარატების გარკვეული ნაწილის ჩანაცვლება უფრო თანამედროვე აპარატებით, რამაც გამოიწვია კლიენტურის და შესაბამისად შემოსავლების შემცირება საანგარიშო პერიოდში. დღეის მდგომარეობით, შედარებით მოძველებული, 12 სათამაშო აპარატი ჩანაცვლებულია ახალი თ-ტიპის აპარატებით, ვაპირებთ ახალი აპარატების რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდას. გაუმჯობესდა კლიენტების მომსახურების დონე (უფასოდ შეუზღუდავი რაოდენობით ეძლევათ ყავა, ჩაი), რამაც მომხმარებლის რაოდენობის ზრდაზე დადებითი გავლენა იქონია.

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს შპს ლაქი გეიმმა ხელშეკრულება გააფორმა შპს ავიატორთან, რომელსაც იჯარით გადაეცემა საიჯარო ქონება, სალაროს მოსაწყობად, და სარეკლამო სივრცეები. შპს ავიატორი წარმოადგენს აზარტული თამაშების ონლაინ პროვაიდერს. ხელშეკრულების საფუძველზე შპს ავიატორი ეტაპოვრივად გადაუხდის 1534000 ლარს, რომლის პირველი ტრანში - 460000 ლარი მიღებული აქვს ლაქი გეიმს აგვისტოს თვეში.

ამავე წლის ოქტომბრის თვეში ხელი მოეწერება კიდევ ახალ ხელშეკრულებას რომლის თანახმად ლაქი გეიმი ტოტალიზატორის მოსაწყობად გადასცემს ფართს, საიდანაც, მისაღები საჯარო ქირა, დღგ-ს ჩათვლით, საორიენტაციოდ განისაზღვრება თვიურად 25000 ლარი.

ზემოთ აღნიშნულის გამო, ლაქი გეიმი გააუქმებს ტოტალიზატორით სარგებლობის ნებართვას; საწარმოს დარჩება მხოლოდ სათამაშოების აპარატების სალონი, რომლის

ეფექტურ ფუნქციონირებაზე იქნება კონცენტრირებული ხელმძღვანელობის მთელი ყურადღება, ამასთან, ნავარაუდევია, სალონისათვის 12 ახალი სათამაშო აპარატის დამატება, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაზრდის საწარმოს შემოსავლებს და გააუმჯობესებს მის ფინანსურ მდგომარეობას.

გარდა ამისა, უახლოეს მომავალში განხორციელდება ახალი თანამედროვე პროგრამების ჩატვირთვა აპარატებში, რაც მნიშვნელოვნად გააფართოებს აპარატის შესაძლებლობებს. უზრუნველყოფს მრავალფეროვანი საბონუსე სისტემის შექმნას. რაც მომხმარებლების ინტერესებს კიდევ მეტად დააკმაყოფილებს.

კომპანიაში დასაქმებულია საკმაოდ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პერსონალი, როგორც ტექნიკურ ნაწილში ასევე მომხმარებლის მომსახურების სფეროში, რაც უზრუნველყოფს სათამაშო აპარატების შეუფერხებელ, გამართულ მუშაობას და მომხმარებლის მომსახურების მაღალ სტანდარტს.

კომპანია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში იმყოფებოდა მყარ ფინანსურ მდგომარეობაში, უფრო მეტიც, რიგორც ზემოთ აღინიშნა, დაგეგმილია ახალი სათამაშო აპარატების დამატება, სალონში დიზაინის შეცვლა, რაც სხვა გატარებულ და გასატარებელ ღონისძიებებთან ერთად, შესაძლებელს გახდის კომპანიამ მომავალ წლებშიც შეინარჩუნოს და გაიუმჯობესოს თავისი ფინანსურ მდგომარეობა, ეს კი საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ შემოსავლები და შესაბამისად გავაუმჯობესოთ კომპანიის თანამშრომელთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც შესაბამისად გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხების ოდენობის ზრდას.

შრომის ანაზღაურებაზე გაცემული იქნა 570087 ლარი, მათ შორის, გაცემული იქნა ხელზე 456070 ლარი, ხოლო 114017 ლარი, საშემოსავლო გადასახადის სახით შეტანილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაუნაწილებელი მოგება დარიცხული იქნა 310023 - ლარი და წლის დასაწყისში არსებულ მოგების გაგაუნაწილებელ ნაშთთან ერთად, საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 3749896 ლარი., საიდანაც, ამავე პერიოდში, კომპანიის პარტნიორებზე დარიცხული და გაცემული იქნა დივიდენდი 915480 ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრისათვის გაუნაწილებელი მოგების ნაშთმა შეადგინა 2273129 ლარი, რომელიც მომავალში, გაცემული იქნება დივიდენდებად, ან ინვესტირებული იქნება კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

ამ ეტაპზე სტაბილური შემოსავლები კარგ შესაძლებლობებს ქმნის კომპანიის საქმიანობის განვითარებისათვის. რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, ისე როგორც წინა წლებში, არსებობს გარკვეული რისკები. კერძოდ, კონკურენტთა

მომრავლება და სათამაშო ბიზნესის საქმიანობის კიდევ უფრო მკაცრ ჩარჩოებში მოექცევა, რაც გამოიხატება ახალახალი შეზღუდვების დაწესებაში. რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.

ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში შემოწმებული იქნა ბუღალტრული აღრიცვის მდგომარეობა, სადაც რაიმე სახის არსებითი უზუსტობები არ გამოვლინებულა.

კომპანია მომავალ წლებშიც, ისე როგორც 2018 წლის საანგარიშო პერიოდში, თავის საქმიანობას გააგრძელებს საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყანაში არსებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. სამუშაო ტერიტორიაზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიგა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკების მართვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს რისკების იდენტიფიკაცია და დაუყოვნებლივ საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკების მართვის მეშვეობით ვადგენთ პოტენციურ დადებით თუ უარყოფით ფაქტორებს რაც გავლენას ახდენს საზოგადოების საქმიანობაზე.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი რისკია სათამაშო აპარატის მწყობრიდან გამოსვლა რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს. აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას მუშა მდგომარეობაში მყოფი მექანიზმით(ის მექანიზმები რომელიც ხშირად ზიანდება მარაგში სულ გვაქვს) სხვა შემთხვევაში უმოკლეს დროში ვიდებთ მომწოდებლიდან.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის ფაქტებთან. აღსანიშნავია რომ ამ მიმართულებით ტარდება ეფექტური ღონისძიებები, მათ შორის გაზრდილია პასუხისმგებლობის მქონე პირთა პასუხისმგებლობა. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ბუნებრივ მოვლენებით წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძარით აღნიშნული შემთხვევები დაზღვეულია მეიჯარის მიერ. ხოლო ჩვენი მხრიდან ზედმიწევნით ვიცავთ სახანძრო უსაფრთხოების წესებს.

მმართველობის ანგარიშის დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიში დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა
გასცა, 2019 წლის 3 ივნისს

ხელისმოწერა

მმართველობის ანგარიშის დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიში დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა
გასცა, 2019 წლის 3 ივნისს

ხელისმოწერა

The block contains a handwritten signature in black ink, which appears to be 'N. K...' or similar. To the right of the signature is a circular official stamp. The stamp features a crown in the center and text in Georgian and English. The Georgian text reads 'საგარეო ურთიერთობების სამსახური' (Ministry of Foreign Affairs) and 'საგარეო ურთიერთობების სამსახური' (Ministry of Foreign Affairs). The English text reads 'MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS' and 'REPUBLIC OF GEORGIA'.

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის

ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლაქი გეიმი“ არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მისი ს.ნ. არის 204572934; იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ.#6, ხოლო ფაქტიური, ქ.თბილისი, რკინიგზის ცენტრალური სადგური, ნულოვანი სართული.

შპს „ლაქი გეიმი“ (შემდეგში საწარმო) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში. რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2009 წლის 17 სექტემბერს, წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, ძირითადი საქმიანობაა სათამაშო ბიზნესი (სათამაშო აპარატების სალონი, ტოტალიზატორი) გარდა ინტერნეტით ელექტრონული თამაშებისა. საზოგადოებას არც თბილისში და არც სხვაგან, საქართველოს ტერიტორიაზე, ფილიალები არ გააჩნია. საზოგადოების საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

საწარმოს მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

- 1) სექანია ხვიჩა (პ/ნ 62005016165) – 80%
- 2) ადამია თამაზი (პ/ნ 6407943) – 15%
- 3) კორტავა დალი (პ/ნ 01026003090) – 5%

2. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

1.1 შესაბამისობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, იგი წარმოდგენილია საქართველოს ქვეყნის ფულად ერთეულში-ლარში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წარმოდგენილია საბალანსო მუხლების ლიკვიდობის მიხედვით. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება როდესაც კლიენტს გაეწევა შესაბამისი მომსახურება, მისი შეფასება ხდება კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

2.2. ამონაგების აღიარება

სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება დღის ბოლოს აპარატში არსებული ელექტრონული მრიცხველების მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში, ამონაგების შეფასება წარმოებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება. მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

ბ) მოსალოდნელია მომსახურების ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

2.3. მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასახდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესებამის მომსახურებას. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი,

თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

2.4. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი; კომპანიის ძირითადი საქმიანობა, მოგების გადასახადის გადახდისაგან, ისე როგორც დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, განთავისუფლებულია.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში სესხით არ უსარგებლია;

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამიჯნულია მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად;

აქტივი, რომელიც არ მიეკუთვნება მოკლევადიან აქტივებს, განიხილება გრძელვადიან აქტივებად.

აქტივები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ფინანსური და არაფინანსური აქტივების სახით, დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს საღაროში. ფულადი სახსრების ეკვივალენტები კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ ერიცხებოდა; ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. ამავე პერიოდში უცხოური ვალუტით არ უსარგებლია. დეპოზიტები, რომლებიც აღირიცხება, როგორც ფინანსური აქტივები, იმავდროულად ვალდებულებები (არ აღიარდება შემოსავლებად) საანგარიშგებო პერიოდში არ ერიცხებოდა.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურ აქტივებზე და მოთხოვნებზე ჯარიმების და სანქციების დარიცხვას ადგილი არ ჰქონია; კომპანიას საექვო და ხანდაზმული აქტივები არ ერიცხება, საანგარიშგებო პერიოდისათვის ერიცხება მოკლევადიანი მოთხოვნები, თანხით 1062285 ლარი, საიდანაც 1000000 ლარი მოდის

სათამაშო ბიზნესის საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ წინასწარ გადახდილ თანხებზე.

ა) მატერიალური მარაგები

მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შემენასთან, დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მარაგებში აისახება ნედლეული და მასალები, გასაყიდად შემენილი საქონელი, ასევე მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების კრიტერიუმს. კომპანია თავისი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე მოიხმარს მცირე ოდენობით მატერიალურ მარაგებს, რის გამოც წლის დასაწყისში ერიცხებოდა 45 ლარის ოდენობით (მოთამაშეებზე პრიზების სახით გასაცემი მატერიალური ფასეულობა), ხოლო წლის ბოლოს საწარმოს მარაგები არ ერიცხება.

იჯარა - ფინანსური იჯარა კომპანიას არ გააჩნია, კომპანია ჩვეულებრივი იჯარით აღებული ფართისათვის საანგარიშგებო საანგარიშგებო პერიოდში ყოველთვიურად იხდის 37700 ლარას, (ხოლო, წლიურად 452 500 ლარს), რომელსაც ყოველთვიურად ატერებს ხარჯებში.

გაცემული სესხები, თამასუქები, მისაღები დივიდენდები და ანალოგიური აქტივები კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ ერიცხებოდა.

ბ) ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი შემენის (ისტორიული) ღირებულებით. ხოლო მათი შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების სასარგებლო მომსახურების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით.

მანქანა დანადგარები და მოწყობილება 10-30 პროცენტი (სხვა სახის ძირითადი საშუალებები კომპანიას აუდიტირებულ პერიოდში არ ერიცხებოდა).

ძირითადი საშუალებების შემენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან როდესაც ხდება მისი ექსპლოატაციაში შესვლა.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება.

აქტივების გაუფასურება - თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შეფასებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად.

ძირითადი საშუალების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2017 წელი	705948
1	მანქანა-დანადგარები	601335
2	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	104613
3	სხვა	0
	ბალანსი 31 დეკემბერი 2018 წელი	926071
1	მანქანა-დანადგარები	739011
2	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	185000
3	სხვა	2060

გადასახადები

კომპანია თავისი საქმიანობიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს და ქონების გადასახადს, რადგან იგი ბიუჯეტში იხდის სანებართვო და სალიცენზიო სავალდებულო გადასახადებს.

კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას საწესდებო კაპიტალი (საწარმოს კაპიტალი) არ ერიცხებოდა.

გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგების თანხების გაანგარიშებაში მონაწილეობს გასულ წლებში მიღებულ მოგების გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის მოგების გაუნაწილებელი თანხა; კომპანიას საანგარიშგებო წლის დასაწყისში გაუნაწილებელი მოგება ერიცხებოდა 2878596 ლარი, პერიოდის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 3010023 ლარი, გაცემული იქნა დივიდენდი 915480 ლარი და წლის ბოლოს გაუნაწილებელი მოგების ნაშთმა შეადგინა 2273139 ლარი.

ვალდებულებები

თავისი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას ვალდებულებები წარმოეშობა მცირე ოდენობით, ხანდაზმული, ვადაგადაცილებული, ან საექვო დავალიანებები არ ერიცხება.

ფუნქციონირებდი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია უახლოეს ერთი წლის განმავლობაში მაინც არ შეწყვეტს ფუნქციონირებას, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ იგი უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს (2010 წლიდან) და იმყოფება მყარ ფინანსურ მდგომარეობაში, აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს კომპენტეტური ხელმძღვანელობა და გამოცდილი თანამშრომლები, იმედია, რომ არც მომავალ წლებში შეწყვეტს საქმიანობას.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 44846330 ლარი, ხოლო მოგებამ 310023 ლარი (სათამაშო ბიზნესი 2012 წლიდან მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულია).

ხარჯები

კომპანიის ხარჯების სტრუქტურა წარმოდგენილია როგორც საოპერაციო (მიმდინარე) ხარჯები, სიდანაც 89,8 % მოდის მოთამაშეებზე გაცემულ მოგებებზე (40252489 ლარი); 6,1% (2730290 ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეტანილ გადასახადებზე, გარდა ხელფასზე და დივიდენდზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადისა; 1,3 % (570088) შრომის ანაზღაურებაზე; 1.0 % (452256 ლარი) ჩვეულებრივ საიჯარო ქირაზე; 0,7 % (299666 ლარი) კომუნალურ და საკომუნიკაციო ხარჯებზე 0,5 % (231518 ლარი) ძირითადი საშუალებების ცვეთასა და ამორტიზაციაზე.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიას წლის დასაწყისში ერიცხებოდა ფულადი სახსრები 1057496 ლარი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 573358 ლარი, ანუ საანგარიშგებო პერიოდში, წმინდა ფულადი სახსრების კლებამ საოპერაციო საქმიანობიდან შეადგინა 526780 ლარი.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შეახებ ანგარიშგებაში თავს იყრის ისეთი ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს მის მოცულობაზე, მათ შორის, საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი, აქტივების და ვალდებულებების რაოდენობრივი ცვლილებები, გადაფასების შედეგად მიღებულ ინამეტი/დანაკლისი, კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების აღიარება და სხვა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოსავლებით და ხარჯებით გაანგარიშებული ფინანსური შედეგი, არასაოპერაციო შემოსავლებთან/ხარჯებთან ერთად აისახება კაპიტალის შესახებ ანგარიშგებაში.

კომპანიას წლის დასაწყისში ერიცხებოდა გაუნაწილებელი მოგება 2878596 ლარი, საანგარიშგებო პერიოდში მიიღო გაუნაწილებელი მოგება 310023 ლარი, ამავე პერიოდში გაიცა დივიდენდი 915480 ლარი; საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 2273139 ლარი

გაუთვალისწინებელი გარემოებები

იმის გათვალისწინებით რომ ხშირია საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც, არცთუ იშვიათად ბუნდოვან ხასიათს ატარებენ, რითაც საგადასახადო ორგანოებს შესაძლებლობა ეძლევათ მოახდინონ ამ ცვლილებების ინტერპრეტირება, რის საფუძველზედაც, გასვლითი თუ

კამერალური შემოწმებების ჩატარების გზით, კომპანიას ექმნება სხვადასხვა სახის დიდი ოდენობით ჯარიმა-საურავების და ფინანსური სანქციების დაკისრების საფრთხე. თუმცა კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია იმაში, რომ მათი საქმიანობა საგადასახადო კუთხით ადეკვატურია ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის.

სხვა განმარტებითი შენიშვნები

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს შპს ლაქი გეიმმა ხელშეკრულება გააფორმა შპს ავიატორთან რომელსაც იჯარით გადაეცემა ქონება, სალაროს მოსაწყობად და სარეკლამო სივრცეები, შპს ავიატორი წარმოადგენს აზარტული თამაშების ონლაინ პროვაიდერს. ხელშეკრულების საფუძველზე შპს ავიატორი შპს ლაქი გეიმს გადაუხდის პერიოდულად 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე დღე-ს ჩათვლით 153400 ლარს, საიდანაც პირველი ტრანში - 460000 ლარი ლაქი გეიმს მიღებული აქვს 2019 წლის აგვისტოს თვეში.

ამავე წელს, ოქტომბრის თვეში, მხარეთა მიერ, ხელი მოეწერება კიდევ ერთ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ლაქი გეიმი, ტოტალიზატორის მოსაწყობად, ქვეიჯარის წესით, გადასცემს ფართს, რომლის საიჯარო ღირებულება, საორიენტაციოდ, დღე-ს ჩათვლით განისაზღვრება 25 000 ლარით.

ამავე წელს ოქტომბრის თვეში ხელი მოეწერება კიდევ ერთ ახალ ხელშეკრულებას რომლის თანახმად ლაქი გეიმი, ტოტალიზატორის მოსაწყობად ქვეიჯარის წესით გადასცემს ფართს, საორიენტაციოდ ქვეიჯარის ღირებულება შეადგენს 25000 ლარს.

ძემოთ აღნიშნულის გამო, ლაქი გეიმი გააუქმებს ტოტალიზატორის ნებართვას, შედეგად, საწარმოს დარჩება მხოლოდ სათამაშო აპარატების სალონი, რომლის გაფართოებაც გაფართოებაც არის გათვალისწინებული, კერძოდ, დაგეგმილია 12 ახალი ტიპის სატამაშო აპარატის შეძენა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის სათამაშო აპარატების სალონიდან მისაღებ შემოსავლებს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2019 წლის 3 ივნისს.

დირექტორი: ლევან ლავგილავა

ფინანსისტი: ნუგზარ ჯაჯანიძე

კამერალური შემოწმებების ჩატარების გზით, კომპანიას ექმნება სხვადასხვა სახის დიდი ოდენობით ჯარიმა-საურავების და ფინანსური სანქციების დაკისრების საფრთხე. თუმცა კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია იმაში, რომ მათი საქმიანობა საგადასახადო კუთხით ადეკვატურია ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის.

სხვა განმარტებითი შენიშვნები

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს შპს ლაქი გეიმმა ხელშეკრულება გააფორმა შპს ავიატორთან რომელსაც იჯარით გადაეცემა ქონება, სალაროს მოსაწყობად და სარეკლამო სივრცეები, შპს ავიატორი წარმოადგენს აზარტული თამაშების ონლაინ პროვაიდერს. ხელშეკრულების საფუძველზე შპს ავიატორი შპს ლაქი გეიმს გადაუხდის პერიოდულად 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე დღე-ს ჩათვლით 153400 ლარს, საიდანაც პირველი ტრანში - 460000 ლარი ლაქი გეიმს მიღებული აქვს 2019 წლის აგვისტოს თვეში.

ამავე წელს, ოქტომბრის თვეში, მხარეთა მიერ, ხელი მოეწერება კიდევ ერთ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ლაქი გეიმი, ტოტალიზატორის მოსაწყობად, ქვეიჯარის წესით, გადასცემს ფართს, რომლის საიჯარო ღირებულება, საორიენტაციოდ, დღე-ს ჩათვლით განისაზღვრება 25 000 ლარით.

ამავე წელს ოქტომბრის თვეში ხელი მოეწერება კიდევ ერთ ახალ ხელშეკრულებას რომლის თანახმად ლაქი გეიმი, ტოტალიზატორის მოსაწყობად ქვეიჯარის წესით გადასცემს ფართს, საორიენტაციოდ ქვეიჯარის ღირებულება შეადგენს 25000 ლარს.

ძემოთ აღნიშნულის გამო, ლაქი გეიმი გააუქმებს ტოტალიზატორის ნებართვას, შედეგად, საწარმოს დარჩება მხოლოდ სათამაშო აპარატების სალონი, რომლის გაფართოებაც გაფართოებაც არის გათვალისწინებული, კერძოდ, დაგეგმილია 12 ახალი ტიპის სატამაშო აპარატის შეძენა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის სათამაშო აპარატების სალონიდან მისაღებ შემოსავლებს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2019 წლის 3 ივნისს.

დირექტორი:

ფინანსისტი:

ლევან ლაგვილავა

ნუგზარ ჯაჯანიძე